საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის თხუთმეტი იანვარი
საქართველოს ნოტარიუსი მაია ჩალიგავა
სანოტარო ბიუროს მისამართი: ქ. ბაღდათი კახიანის ქ. №84 (ბაღდათის საზოგადოებრივი ცენტრი)

მე, ნოტარიუს მაია ჩალიგავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, მომმართა **გაგა გორგაძემ,** როგორც **„შპს ექსპრეს მარკეტი"**-ის **დირექტორმა,** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17024505, ამონაწერის მომზადების თარიღი: 27/02/2017 11:30:59, საიდენტიფიკაციო ნომერი: 425056137), რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას, განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს აღნიშნული მინდობილობა. **გაგა გორგაძემ** წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

**გაგა გორგაძემ** (დაბადებული 06.12.1982წ. პირადი №09001003934, პასპორტი №18AA72583, გაცემული 04.09.2018წ. მისამართი: ქალაქი ბაღდათი, ბაგრატიონის ქუჩა, N 24), **„შპს ექსპრეს მარკეტი"**-ის **დირექტორმა,** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17024505, ამონაწერის მომზადების თარიღი: 27/02/2017 11:30:59, საიდენტიფიკაციო ნომერი: 425056137), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი", **პაატა გუმბერიძეს** (დაბადებული 17.07.1982წ. პირადი №09001002060, მისამართი: ქალაქი ბაღდათი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა, N 5), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

**<u>მინდობილობის უფლებამოსილების ფარგლები:</u>**

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია იყოს „მიმნდობი"-ს წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ბანკში და მათ ნებისმიერ ფილიალში, მათ შორის სს „საქართველოს ბანკში", მართოს და განკარგოს შპს-ს საბანკო ანგარიში/ანგარიშები (შესაბამის ვალუტაში), კერძოდ, აწარმოოს უნაღდო ოპერაციები, თანხის შეტანა, ნაშთების ნახვა, გადარიცხვა. „მინდობილი პირი" უფლებამოსილია განახორციელოს კონვერტაცია ანგარიშზე, მიიღოს ცნობა, ამონაწერი, ყველა სერვის-ცენტრში ჩაერთოს და/ან ისარგებლოს მულტიმომსახურებით და/ან დისტანციური მომსახურებებით, დიჯიპასით (ბანკი-კლიენტი, მობაილ-ბანკი, სმს მომსახურება, ინტერნეტ-ბანკინგის, დიჯიპასის სრული პაკეტი და სხვა), უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დაამზადოს/მიიღოს/ისარგებლოს ყველა სახის საბანკო დოკუმენტით და მიიღოს ეს დოკუმენტი, ასევე, მოახდინოს არსებული ინტერნეტ-ბანკინგის, დიჯიპასის, განახლება, მისთვის კოდის აღდგენა მინიჭება/გატანა, ბლოკირება/განბლოკვა; შეაგროვოს ყველა საჭირო საბუთი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.

**<u>მინდობილობის მოქმედების ვადა:</u>**

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე

**<u>მინდობლობის ეგზემპლარების რაოდენობა:</u>**

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე 3 /სამი/ ეგზემპლარად, რომელთაგან 1 /ერთი/ ინახება ნოტარიუს მაია ჩალიგავას სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს".

**<u>დანართი:</u>**

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

**1.ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B17024505, ამონაწერის მომზადების თარიღი: 27/02/2017 11:30:59, საიდენტიფიკაციო ნომერი: 425056137;

2. **„შპს ექსპრეს მარკეტი"**-ის წესდება.

**<u>სანოტარო მომსახურების საზღაური:</u>**

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 10 /ათი/ ლარი + 2 /ორი/ ლარი ელექტრონულ სანოტრო რეესტრში რეგისტრაციის საფასური (ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად), სულ 12 /თორმეტი/ ლარი.

მიმნდობი: გაგა გორგაძე

ნოტარიუსი მაია ჩალიგავა

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

13804387060321

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N210018580

რეგისტრაციის თარიღი

**15.01.2021 წ**

ნოტარიუსი: მაია ჩალიგავა
მისამართი: ქ. ბაღდათი, კახიანის ქ. №84 (ბაღდათის საზოგადოებრივი ცენტრი)
ტელეფონი: 551115859

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18